სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქ.ახალქალაქის №1 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე 01. 10. 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალქალაქის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, რუზანნა ტეფოიანის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1.უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსს- „ინკლუზიური განათლება“ და ასევე სასკოლო პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან/შესაბამის აქტივობებს შეასრულებენ სკოლაში, რისთვისაც განხორციელდება ერთობლივი საქმიანობა შემდეგი მიმართულებით:

ა). მითითებული პროგრამის ფარგლებში სტუდენეტები შესაბამისი პრაქტიკის საათებს ჩაატარებენ სკოლაში.

ბ). სასწავლო პროცესში დაცული იქნება პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

2. სკოლა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით.

3. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

4.წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულბული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

6.მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქ.ახალქალაქის №1 საჯარო სკოლა
რექტორი, პროფესორი	დირექტორი
მერაბ ბერიძე	რუზანნა ტეფოიანი